ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4599687

ნომერი: AR1695902

თარიღი : 20.07.2019

გაცემის თარიღი : 26.07.2019

გაცნობის თარიღი : 05.08.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩუბინიძე , N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლიკა მძელური პ/ნ 35001121126
- საქართველო, ქალაქი რუსთავი, XX მიკრო/რაიონი, N 18, ბინა 43

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის

ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ჩუბინიძის ქ. N7-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხს.
პასუხად გაცნობებთ, რომ განსახილველ ტერიტორიაზე (ს/კ № 01.17.01.050.007), ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის'' გრაფიკული ნაწილის, რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელ ზონა 5 (სზ–5).
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მიხედვით საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის შერეული საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს;

საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) განაშენიანების რეგულირების პარამეტრები:

კ-1
0,5
კოეფიციენტი
კ-2
2,1
კოეფიციენტი
კ-3
0,3
კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე
–
ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი
400*/500
კვ.მ
მინიმალური სიგანე
12*/15
მეტრი
მინიმალური სიღრმე
20*/ 25
მეტრი
შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე
**
მეტრი
შენიშვნა
* ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისთვის
** განისაზღვრება მიმდებარე განაშენიანების შესაბამისად.

ვინაიდან განსახილველი მიწის ნაკვეთის პარამეტრები კანონმდებლობის მიხედვით ვერ აკმაყოფილებს სამშენებლოდ განვითარებისთვის დადგენილ ნორმებს, პირველ ეტაპზე უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს და მოიპოვოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება - ინდივიდუალური პარამეტრების მინიჭებასთან დაკავშირებით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თვენი მოთხოვნა.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.